



სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
აღმასრულებელი საბჭოს
სხდომის ოქმი

თარიღი: 08 ოქტომბერი, 2021

სხდომის დაწყების დრო: 18:30 საათი

ადგილმდებარეობა: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ 11.

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), ტარიელ კაკაბაძე, გიორგი თევზაძე, ციცინო ცხვედიანი; დისტანციურ რეჟიმში zoom პლატფორმის გამოყენებით მონაწილე წევრები: დათუნა მოდებაძე, მამუკა ნოზაძე, ირაკლი ყანდაშვილი.

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება:

წევრები გაეცნენ:

(ა) სოფიკო გუგუნავას, დავით გაფრინდაშვილის, თემურ ელიზბარაშვილის, არჩილ ბჟალავას, ვიქტორ კვიციანიანის, თინათინ ჭიხორიას, დავით კვიციანის, სალომე რურუას, მათე გეწაძის, რუსლან ბადიევის, გიორგი ჩაფიძის, გიორგი გელაშვილის, გვანცა ხარაიშვილის, ლანა ყანჩელის, ლიზა ჩიტალაძის, ირაკლი ჯიბლაძის, ნინო ნაზიაშვილის, თეონა ინასარიძის, რუსუდანი ლაბაძის, ლია ჩადუნელის, თამარი ჯოხაძის, გიორგი ლალიძის, სოსო ქუთათელაძის, ქრისტინე მირზოიანის, ზურაბ ნადირიანის, დავით გამყრელიძის, მარიამ სანებლიძის, ლამარა უგრეხელიძის, თეონა თუთბერიძის, ნიკა ჯაშიაშვილის, ანა ჩერტკოშვილის, ნანა ჩხეტიანის განცხადებებს გაწევრიანების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებს წარმოდგენილი ჰქონდათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სრული, ერთწლიანი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი და გაწევრიანებისთვის საჭირო

ყველა დოკუმენტი. შესაბამისად, განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული დოკუმენტებითურთ სრულად აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს სოფიკო გუგუნავას, დავით გაფრინდაშვილის, თემურ ელიზბარაშვილის, არჩილ ბჟალავას, ვიქტორ კვიციანიანის, თინათინ ჭიხორიას, დავით კვიციანის, სალომე რურუას, მათე გეწაძის, რუსლან ბადიევის, გიორგი ჩაფიძის, გიორგი გელაშვილის, გვანცა ხარაიშვილის, ლანა ყანჩელის, ლიზა ჩიტალაძის, ირაკლი ჯიბლაძის, ნინო ნაბიაშვილის, თეონა ინასარიძის, რუსუდანი ლაბაძის, ლია ჩადუნელის, თამარი ჯოხაძის, გიორგი ლალიძის, სოსო ქუთათელაძის, ქრისტინე მირზოიანის, ზურაბ ნადირიანის, დავით გამყრელიძის, მარიამ სანებლიძის, ლამარა უგრეხელიძის, თეონა თუთბერიძის, ნიკა ჯაშიაშვილის, ანა ჩერტკოშვილის, ნანა ჩხეტიანის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.

(ბ) თამარ ხუხიას განცხადებას გაწევრიანების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებელმა საადვოკატო სტაჟირება დაიწყო 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, “პროფესიული ადაპტაციის პროგრამის“ დებულების 15.2. მუხლის შესაბამისად, ადაპტაციის პროგრამის გავლის ვალდებულება არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყეს საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და თანდართულ დოკუმენტებს. აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს თამარ ხუხიას განცხადება ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ.

საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ თამილა აბუსელიძის, ნატო ჯეჯილაშვილის, თამარი მერაბიშვილის და ვაჟა ჩიტაშვილის განცხადებებს ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირების მიერ წარმოდგენილ განცხადებებს თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს თამილა აბუსელიძის, ნატო ჯეჯილაშვილის, თამარი მერაბიშვილის და ვაჟა ჩიტაშვილის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 3. ანი ილაურის განცხადების განხილვა.

წევრები გაეცნენ ადვოკატ ანი ილაურის განცხადებას ასოციაციის კომერციული და კონკურენციის სამართლის კომიტეტში გაწევრიანების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ანა ილაურის განცხადება ადვოკატთა ასოციაციის კომერციული და კონკურენციის სამართლის კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე და კომიტეტის დებულების მე-4 მუხლის, 4.4 პუნქტის თანახმად, დამტკიცებულ იქნეს მისი კანდიდატურა ადვოკატთა ასოციაციის კომერციული და კონკურენციის სამართლის წევრად. გადაწყვეტილების აღსრულება დაევალოს საკომიტეტო საქმიანობის, კომუნიკაციისა და ანალიტიკურ საქმეთა დეპარტამენტის უფროსს.

საკითხი 4. პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატების დამტკიცება.

წევრები გაეცნენ დავით თორაძის, ოთარი კახიძის, ლაურა დავითაძის და ნიკოლოზ გოგილიძის განცხადებებს, ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად დამტკიცების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლები აკმაყოფილებენ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების 10.1 და 10.2 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად დავით თორაძის, ოთარი კახიძის, ლაურა დავითაძის და ნიკოლოზ გოგილიძის კანდიდატურები. გადაწყვეტილების ასახვა სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა რეესტრში დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

საკითხი 5. ადაპტაციის პროგრამის მონაწილეთა სიის დამტკიცება.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია, რომ პროფესიული ადაპტაციის პროგრამაზე რეგისტრაცია მიმდინარეობდა მ/წლის 30 აგვისტოდან 24 სექტემბრის ჩათვლით. აღნიშნულ პერიოდში დარეგისტრირდა 195 აპლიკანტი, რომელთაგან 194 სრულად აკმაყოფილებდა აღნიშნული პროგრამის დებულების მე-5 მუხლის, 5.5 პუნქტის თანახმად დადგენილ მოთხოვნებს, ხოლო ერთი განმცხადებლის - გიორგი ასაშვილის განაცხადი არ იყო შესაბამისობაში ზემოთ აღნიშნული დებულებით დადგენილ მოთხოვნებთან: კერძოდ, მას არ ჰქონდა წარმოდგენილი პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-5 მუხლის, 5.5 პუნქტის, „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადვოკატთა, მოსამართლეთა ან პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი (სერტიფიკატი).

წევრებმა განაცხადეს, რომ პროფესიული ადაპტაციის დებულების მე-5 მუხლის, 5.7 პუნქტის თანახმად, განმცხადებელთა სიას, რომელიც შესაბამისობაშია ფორმალურ მოთხოვნებთან, ამტკიცებს აღმასრულებელ საბჭო და სიაში შეტანილ პირს ენიჭება ადაპტაციის პროგრამის მონაწილის სტატუსი.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

- პროფესიული ადაპტაციის დებულების მე-5 მუხლის, 5.7 პუნქტის თანახმად, დამტკიცდეს მ/წლის 30 აგვისტოდან 24 სექტემბრის ჩათვლით, პროფესიული ადაპტაციის პროგრამაზე რეგისტრირებული 194 განმცხადებელი და მათ მიენიჭოთ ადაპტაციის პროგრამის მონაწილის სტატუსი (დანართი 1).
- არ დაკმაყოფილდეს გიორგი ასაშვილის განცხადება პროფესიული ადაპტაციის პროგრამის მონაწილედ რეგისტრაციის შესახებ, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის მე-5 მუხლის, 5.5 პუნქტის, „გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნასთან

შეუსაბამობის გამო. განმცხდებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე.

საკითხი 6. საქართველოს იურიდული ფირმების ასოციაციის განცხადების განხილვა ინსტიტუციური აკრედიტაციის მინიჭების შესახებ.

წევრები გაეცნენ საქართველოს იურიდული ფირმების ასოციაციის განცხადებას ინსტიტუციური აკრედიტაციის მინიჭების შესახებ. მათ მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განცხადება თანდართული მასალებით აკმაყოფილებდა აკრედიტაციის წესით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად (მომხრე 6: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), ტარიელ კაკაბაძე, გიორგი თევზაძე, ციცინო ცხვედიანი, დათუნა მოდებაძე, ირაკლი ყანდაშვილი; წინააღმდეგი 1-მამუკა ნოზაძე) მიღებული იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს საქართველოს იურიდული ფირმების ასოციაციის მიერ წარმოდგენილი განცხადება და მიენიჭოს ინსტიტუციური აკრედიტაცია 3 წლის ვადით.

საკითხი 7. შპს „ფრანკლინის კლუბი“-ს განცხადების განხილვა აკრედიტაციის მინიჭების შესახებ.

წევრები გაეცნენ შპს „ფრანკლინის კლუბი“-ს განცხადებას აკრედიტაციის მინიჭების შესახებ. მათ მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განცხადება თანდართული მასალებით აკმაყოფილებდა აკრედიტაციის წესით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, (მომხრე 6: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), ტარიელ კაკაბაძე, გიორგი თევზაძე, ციცინო ცხვედიანი, დათუნა მოდებაძე, ირაკლი ყანდაშვილი; წინააღმდეგი 1- მამუკა ნოზაძე) მიღებული იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს შპს „ფრანკლინის კლუბი“-ს მიერ წარმოდგენილი განცხადება განცხადება აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე.

საკითხი 8. თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2021 წლის 23 ივლისს თორნიკე ცინარიძის მიმართ მიღებული გადაწყვეტილების გაცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე, ადვოკატთა

საკვალიფიკაციო ტესტირების N51 კითხვაზე 1 (ერთი) ქულის მომატების შესახებ.

წევრები გაეცნენ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილებას, რომლითაც თორნიკე ცინარიძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, 2021 წლის 04, 05, 09, 10, 11 და 12 მარტს ჩატარებული ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგად შესული საჩივრების განხილვის მიზნით შექმნილი სამართლის ექსპერტთა ჯგუფის 2021 წლის 07 აპრილის სხდომის ოქმი N 1 იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა თორნიკე ცინარიძის მოთხოვნა ადვოკატთა საკვალიფიკაციო ტესტირების N51 ტესტში ქულის მომატების შესახებ და ადვოკატთა ასოციაციას დაევალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის გამოცემა თორნიკე ცინარიძისთვის ადვოკატთა საკვალიფიკაციო ტესტირების N51 კითხვაზე 1 (ერთი) ქულის მომატებასთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი გადაწყვეტილებები:

- თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 23 ივლისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება მიღებულ იქნეს ცნობად და გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, თორნიკე ცინარიძეს ადვოკატთა საკვალიფიკაციო ტესტირების ტესტირების N51 კითხვაზე მოემატოს 1 (ერთი) ქულა.
- თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 23 ივლისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების თანახმად, თორნიკე ცინარიძეს აუნაზღაურდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 100 (ასი) ლარის ოდენობით.

საკითხი 9. 2021 წლის 03 სექტემბრის თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ მარალ გუსეინოვას მიმართ მიღებული გადაწყვეტილების განხილვა.

წევრები გაეცნენ 2021 წლის 03 სექტემბრის თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ მარალ გუსეინოვას მიმართ მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლითაც მ. გუსეინოვას სარჩელი დაკმაყოფილდა და ბათილად

იქნა ცნობილი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 2 დეკემბრის N 267 სხდომის ოქმით მიღებული გადაწყვეტილება მარალ გუსეინოვას ასოციაციაში გაწევრიანებაზე უარის თქმის ნაწილში და ასოციაციის დაევალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის გამოცემა მარალ გუსეინოვას ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ; ასევე, ასოციაციას დაევალა მარალ გუსეინოვასთვის მის მიერ 04.02.2020 წელს და 25.06.2021 წელს გადახდილი სახელმწიფო ბაჟის - ჯამში 250 (ორასორმოცდაათი) ლარის დაბრუნება.

წევრებმა მოსმინეს ინფორმაცია და დეტალურად გაეცნენ წარმოდგენილ გადაწყვეტილებას. აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: 2021 წლის 03 სექტემბრის თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ მარალ გუსეინოვას მიმართ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების თუ არგასაჩივრების თაობაზე წევრებმა წარმოადგინონ თავიანთი წერილობითი მოსაზრებები კანონით დადგენილ 21 დღის ვადის გასვლამდე.

საკითხი 10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შეფასების თაობაზე შემუშავებული ინსტრუქციის განხილვა.

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ასოციაციის მართლმსაჯულებისა და სასამართლო რეფორმების კომიტეტის სამუშაო ჯგუფის, ასოციაციის აპარატის, USAID/PROLoG-ის ექსპერტის ჩართულობით და უშუალოდ მისი მონაწილეობით, შემუშავდა ინსტრუქცია საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შეფასების და კანდიდატთა გასაუბრებისას დასასმელი კითხვების თაობაზე.

წევრების მხრიდან დეტალურად იქნა განხილული წარმოდგენილი დოკუმენტი და გამოითქვა სხვადასხვა მოსაზრებები.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შეფასების ინსტრუქცია დამტკიცდეს სხდომაზე დასახელებული ცვლილებების გათვალისწინებით (დანართი 2).

საკითხი 11. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ ინიცირებული „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე მომზადებული კანონპროექტის განხილვა.

თავმჯდომარემ წევრებს წარუდგინა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ

ინიცირებული „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი.

წევრებმა იმსჯელეს წარმოდგენილი კანონპროექტის ირგვლივ და შეთანხმდნენ, რომ ადვოკატთა ასოციაცია ვერ გაიზიარებს წარმოდგენილი საკანონმდებლო პაკეტით გათვალისწინებულ ცვლილებებს.

მსჯელობის შემდეგ, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: შესაბამისი კომიტეტების მიერ მომზადდეს და დადგენილ ვადაში წარდგენილ იქნას ადვოკატთა ასოციაციის უარყოფითი პოზიცია და დასაბუთებული მოსაზრებები სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ წარმოდგენილ კანონპროექტთან დაკავშირებით.

საკითხი 12. საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო წინანდების („არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში ცვლილების განხორციელების შესახებ“) განხილვა.

წევრებმა განაცხადეს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტის სრულყოფილად გასაცნობად მათ ესაჭიროებათ დამატებითი დრო. შესაბამისად, თავმჯდომარემ დააყენა წინადადება აღნიშნული საკითხის დღის წესრიგიდან მოხსნის შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: საკითხის უკეთ მომზადების მიზნით, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო წინანდების („არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში ცვლილების განხორციელების შესახებ“) განხილვა გადაიდოს შემდგომი სხდომისთვის.

საკითხი 13. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ბათუმის რეგიონული ოფისის შენობა-ნაგებობის საერთო ფართის დაზუსტების თაობაზე საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ 2020 წლის 29 ოქტომბრის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, ქ. ბათუმში, სარაჯიშვილის ქ. N 22 - ში მდებარე საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ადვოკატთა ასოციაციის ბათუმის რეგიონული ოფისის ახალი საკადასტრო ნახაზების გაკეთების და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მისი ხელახალი რეგისტრაციის მიზანშეწონილობის საკითხზე მუშაობის მიზნით, შეიქმნა დროებითი სამუშაო ჯგუფი (ამირან ცეცხლაძე, ლელა ბჟალავა, გურამ ლოღობერიძე), რომელთაც ეთხოვათ მოხსენებითი ბარათის მომზადება.

კომისიამ შეისწავლა საკითხი და დაადგინა, რომ ქ. ბათუმში, სარაჯიშვილის ქ. N 22 ში საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების და მის მეზობლად მდებარე უძრავი ქონებების სამეზობლო საზღვრები არ შეესაბამებოდა საჯარო რეესტრის მონაცემებით დადგენილ საზღვრებს. შესაბამისად, ბათუმის რეგიონული ოფისის შენობა-ნაგებობის საერთო ფართის დაზუსტების მიზნით გაკეთდა ახალი საკადასტრო ნახაზი.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: ქ. ბათუმში, სარაჯიშვილის ქ. N 22 ში საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საერთო ფართის დაზუსტების მიზნით, მოხდეს ახალი საკადასტრო ნახაზის რეგისტრაცია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

საკითხი 14. საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი ძველი მოწმობის მოქმედების ვადის განსაზღვრის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აღმასრულებელი საბჭოს 2021 წლის 09 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ძველი მოწმობის მოქმედების ვადა გაგრძელდა 2021 წლის 1-ელ ნოემბრამდე.

დღევანდელი მდგომარეობით, ასოციაციის მიმართ მოწმობის შეცვლის მოთხოვნით მომართვიანობა რაოდენობრივად შემცირდა, მაგრამ აქტიურად მიმდინარეობს. მნიშვნელოვანია, რომ განახლებული და ვალიდური მოწმობა ჰქონდეს ყველა მოქმედ ადვოკატს, რათა ისინი პროფესიული საქმიანობის პროცესში არ შეფერხდნენ. ამდენად, მიზანშეწონილია, საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი ძველი მოწმობის მოქმედების ვადა გაგრძელდეს გარკვეული ვადით და საბოლოო ვადად განისაზღვროს **2022 წლის 1-ლი იანვარი**.

წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

1. საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი ძველი დიზაინის მოწმობის მოქმედების ვადა განისაზღვროს **2022 წლის 1-ელ იანვრამდე**. მანამდე კი ძალაში იქნება მოწმობის ორივე ნიმუში;
2. აღნიშნულის თაობაზე ეცნობოთ ადვოკატთა ასოციაციის იმ წევრებს, რომელთაც არ აქვთ გამოცვლილი ძველი მოწმობები.

3. აღნიშნულის შესახებ წერილობით ეცნობოთ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს პროკურატურას.

საკითხი 15. სხვადასხვა

წევრები გაეცნენ “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21² მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად გივი შენგელიას, ნინო ნაბიაშვილის, თეონა ინასარიძის, რუსუდანი ლაბაძის, ლია ჩადუნელის განცხადებების წევრობის შეჩერების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს გივი შენგელიას, ნინო ნაბიაშვილის, თეონა ინასარიძის, რუსუდანი ლაბაძის, ლია ჩადუნელის განცხადებები წევრობის შეჩერების შესახებ.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით ასათიანი

თავმჯდომარე